



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492121110

თარიღი:30/07/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 51

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და თამთა ცხადაძეს შორის 2016 წლის 31 მაისს გაფორმებული N10 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური პირობების შემსუბუქების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48/4821151204; 31/05/2021) წერილი, რომელშიც მერი აღნიშნავს, რომ მოიჯარე თამთა ცხადაძეს დღეის მდგომარეობით არ აქვს გადახდილი 2019 წლის საიჯარო ქირის ნაწილი, საერთოდ არ აქვს გადახდილი 2020 წლის საიჯარო ქირა და 2021 წლის 25 მაისამდე გადასახდელი საიჯარო ქირა, შესაბამისად მას არ აქვს გადახდილი იჯარის გადაუხდელობის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო. 2021 წლის 25 მაისის მდგომარეობით საიჯარო ქირა შეადგენს 54 948 ლარს, პირგასამტეხლო - 22 220 ლარს, საიდანაც 2020 წლის 5 მარტამდე (პანდემიის დაწყებამდე) გადასახდელი იჯარაა 20178 ლარი, პირგასამტეხლო 7141,79 ლარი, რასაც არ ეხება დღეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათები. 2020 წლის 5 მარტიდან 2021 წლის 25 მაისამდე (პანდემიის პერიოდი) თამთა ცხადაძეს გადასახდელი აქვს საიჯარო ქირა - 34 770 ლარი და პირგასამტეხლო 15 078 ლარი. შესაბამისად მერი, მოიჯარე თამთა ცხადაძის განცხადებების გამო, მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შეტანილი ცვლილების საფუძველზე, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, უშუალოდ საქართველოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამორჩეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების, ეპიდემიისა და პანდემიის გამო დადგენილი მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით, მოიჯარე თამთა ცხადაძის ფინანსური პირობის შემსუბუქების მიზნით, ითხოვს საკრებულოსგან შემდეგი სახის თანხმობას:

მოიჯარე თამთა ცხადაძე გათავისუფლებულ იქნას 2020 წლის 5 მარტიდან 2021 წლის 25 მაისამდე გადასახდელი პირგასამტეხლოსგან 15 078.21 ლარისაგან, ასევე, ფინანსური პირობის შემსუბუქების მიზნით, საიჯარო ქირა, რომელიც შეადგენს 2021 წლის 25 მაისის მდგომარეობით 34 770 ლარს, შეუმცირდეს და გადასახდელი დარჩეს 17 385 ლარი. დარჩენილი დავალიანების გადახდა მოხდეს 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.

მერის წერილში აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 163⁴ მუხლისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, მოიჯარე თამთა ცხადაძე გაათავისუფლოს 2020 წლის 5 მარტიდან 2021 წლის 25 მაისამდე გადასახდელი პირგასამტეხლოსგან 15 078.21 ლარისაგან, ასევე, ფინანსური პირობის შემსუბუქების მიზნით, საიჯარო ქირა, რომელიც შეადგენს 2021 წლის 25 მაისის მდგომარეობით 34 770 ლარს, შეუმციროს და გადასახდელი დარჩეს 17 385 ლარი. დარჩენილი დავალიანების გადახდა მოხდეს 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

